

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2019 წლის 26 ივლისი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №76 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 28/12/2018 წელი, 190020020.35.153.016470) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი (მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ბაქრაძე

დანართი

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

მუხლი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	22,227.0	27,039.0	7,646.7	19,392.2	28,454.9	11,055.6	17,399.3
გადასახადები	9,959.9	12,493.3	0.0	12,493.3	14,231.3	0.0	14,231.3
გრანტები	9,549.5	10,837.1	7,646.7	3,190.4	11,423.6	11,055.6	368.0



სხვა შემოსავლები	2,717.5	3,708.5	0.0	3,708.5	2,800.0	0.0	2,800.0
ხარჯები	12,780.5	14,584.6	0.0	14,584.6	16,961.8	609.6	16,352.3
შრომის ანაზღაურება	2,685.3	2,738.7	0.0	2,738.7	3,171.3	0.0	3,171.3
საქონელი და მომსახურება	2,637.1	2,210.6	0.0	2,210.6	3,173.8	609.6	2,564.3
პროცენტი	97.3	178.2	0.0	178.2	87.0	0.0	87.0
სუბსიდიები	6,291.6	8,138.0	0.0	8,138.0	8,814.7	0.0	8,814.7
გრანტები	93.2	42.0	0.0	42.0	162.0	0.0	162.0
სოციალური უზრუნველყოფა	585.1	1,052.6	0.0	1,052.6	1,097.6	0.0	1,097.6
სხვა ხარჯები	391.1	224.4	0.0	224.4	455.4	0.0	455.4
საოპერაციო სალდო	9,446.4	12,454.4	7,646.7	4,807.6	11,493.1	10,446.1	1,047.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,459.7	7,842.2	6,268.3	1,573.9	20,263.2	13,571.8	6,691.4
ზრდა	10,102.0	9,883.1	6,268.3	3,614.7	20,791.9	13,571.8	7,220.1
კლება	642.3	2,040.8	0.0	2,040.8	528.7	0.0	528.7
მთლიანი სალდო	-13.3	4,612.1	1,378.4	3,233.7	-8,770.1	-3,125.7	-5,644.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-331.1	4,277.4	1,378.4	2,899.0	-9,088.4	-3,125.7	-5,962.7
ზრდა	0.0	4,277.4	1,378.4	2,899.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	4,277.4	1,378.4	2,899.0	0.0	0.0	0.0
კლება	331.1	0.0	0.0	0.0	9,088.4	3,125.7	5,962.7
ვალუტა და დეპოზიტები	331.1	0.0	0.0	0.0	9,088.4	3,125.7	5,962.7
ვალდებულებების ცვლილება	-317.8	-334.7	0.0	-334.7	-318.3	0.0	-318.3
კლება	317.8	334.7	0.0	334.7	318.3	0.0	318.3
საშინაო	317.8	334.7	0.0	334.7	318.3	0.0	318.3
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	22,869.3	29,079.8	7,646.7	21,433.0	28,983.6	11,055.6	17,928.0
შემოსავლები	22,227.0	27,039.0	7,646.7	19,392.2	28,454.9	11,055.6	17,399.3
არაფინანსური აქტივების კლება	642.3	2,040.8	0.0	2,040.8	528.7	0.0	528.7
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	23,200.3	24,802.4	6,268.3	18,534.0	38,072.0	14,181.3	23,890.7
ხარჯები	12,780.5	14,584.6	0.0	14,584.6	16,961.8	609.6	16,352.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,102.0	9,883.1	6,268.3	3,614.7	20,791.9	13,571.8	7,220.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	317.8	334.7	0.0	334.7	318.3	0.0	318.3
ნაშთის ცვლილება	-331.1	4,277.4	1,378.4	2,899.0	-9,088.4	-3,125.7	-5,962.7

მუხლი 3. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **28 454,9** ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	22,227.0	27,039.0	7,646.7	19,392.2	28,454.9	11,055.6	17,399.3
გადასახადები	9,959.9	12,493.3	0.0	12,493.3	14,231.3	0.0	14,231.3
გრანტები	9,549.5	10,837.1	7,646.7	3,190.4	11,423.6	11,055.6	368.0
სხვა შემოსავლები	2,717.5	3,708.5	0.0	3,708.5	2,800.0	0.0	2,800.0

მუხლი 4. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **14 231.3** ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



			ტრანსფერები			ტრანსფერები	
გადასახადები	9,959.9	12,493.3	0.0	12,493.3	14,231.3	0.0	14,231.3
საშემოსავლო გადასახადი	807.9	1,135.0	0.0	1,135.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	9,152.0	11,358.3	0.0	11,358.3	10,100.0	0.0	10,100.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6,232.7	7,836.6	0.0	7,836.6	7,600.0	0.0	7,600.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	384.6	435.7	0.0	435.7	245.0	0.0	245.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	344.3	390.0	0.0	390.0	285.0	0.0	285.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,190.5	2,695.9	0.0	2,695.9	1,970.0	0.0	1,970.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	4,131.3	0.0	4,131.3

მუხლი 5. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **11 423,6** ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	9,549.5	10,837.1	11,423.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	108.8	201.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,440.7	10,636.1	11,423.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2,930.0	2,923.0	1,470.4
გათანაბრებითი ტრანსფერი	2,555.0	2,555.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	375.0	368.0	1,470.4
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6,510.7	7,713.1	9,953.2
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	6,234.8	7,460.9	9,953.2
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	275.9	185.8	0.0
სხვა პროექტები	0.0	66.4	0.0

მუხლი 6. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **2 800.0** ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარში



დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2,717.5	3,708.5	2,800.0
შემოსავლები საკუთრებიდან	921.3	1,068.5	412.0
პროცენტები	330.6	469.2	0.0
რენტა	590.7	599.3	412.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	526.0	538.7	380.0
შემოსავალი მიწის იჯარადან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	64.7	60.6	32.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	511.1	573.4	488.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	483.9	546.8	488.0
სანებართვო მოსაკრებელი	86.7	146.0	73.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.2	3.4	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	37.1	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	358.9	397.4	415.0
არასაბაზისო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	27.2	26.6	0.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	27.2	26.6	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,256.2	2,022.9	1,900.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	28.9	43.8	0.0

მუხლი 7. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16961,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	12,780.5	14,584.6	0.0	14,584.6	16,961.8	609.6	16,352.3
შრომის ანაზღაურება	2,685.3	2,738.7	0.0	2,738.7	3,171.3	0.0	3,171.3
საქონელი და მომსახურება	2,637.1	2,210.6	0.0	2,210.6	3,173.8	609.6	2,564.3
პროცენტი	97.3	178.2	0.0	178.2	87.0	0.0	87.0



სუბსიდიები	6,291.6	8,138.0	0.0	8,138.0	8,814.7	0.0	8,814.7
გრანტები	93.2	42.0	0.0	42.0	162.0	0.0	162.0
სოციალური უზრუნველყოფა	585.1	1,052.6	0.0	1,052.6	1,097.6	0.0	1,097.6
სხვა ხარჯები	391.1	224.4	0.0	224.4	455.4	0.0	455.4

მუხლი 8. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **20 263,2**
 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,459.7	7,842.2	6,268.3	1,573.9	20,263.2	13,571.8	6,691.4
ზრდა	10,102.0	9,883.1	6,268.3	3,614.7	20,791.9	13,571.8	7,220.1
კლება	642.3	2,040.8	0.0	2,040.8	528.7	0.0	528.7

ა) განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **20 791,9**
 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	56.5	72.8	248.0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	5.7	0.0	4.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9,299.5	9,333.3	19,109.7
განათლება	706.3	418.4	1,295.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	33.3	52.5	132.6
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.6	6.1	2.6
სულ ჯამი	10,102.0	9,883.1	20,791.9

ბ) განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **528.7** ათასი
 ლარის ოდენობით, მათ შორის:



დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	642.3	2040.8	528.7
ძირითადი აქტივები	28.1	142.2	128.7
არაწარმოებული აქტივები	614.1	1898.6	400.0
მიწა	614.1	1898.6	400.0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.0	0.0

მუხლი 9. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,551.2	4,632.4	5,534.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,454.0	4,449.8	5,365.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,454.0	4,449.8	5,315.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	50.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	97.3	182.5	169.3
702	თავდაცვა	188.5	185.4	216.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,767.1	8,104.4	17,130.5
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	3,314.7	2,025.1	2,164.6
70443	მშენებლობა	3,314.7	2,025.1	2,164.6
7045	ტრანსპორტი	3,623.0	3,931.9	9,380.7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,617.2	3,931.9	9,380.7
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	5.8	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	1,829.4	2,147.4	5,585.3
705	გარემოს დაცვა	48.9	47.5	37.5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	48.9	47.5	37.5
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3,182.7	4,073.7	5,198.5



7061	ბინათმშენებლობა	524.4	171.8	140.3
7063	წყალმომარაგება	1,818.0	2,740.8	3,168.0
7064	გარე განათება	501.6	539.2	596.2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	338.8	622.0	1,293.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	197.0	180.4	195.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	197.0	180.4	195.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,405.2	1,953.6	2,537.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	103.5	667.0	1,237.7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,228.0	1,086.8	1,065.6
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	73.8	199.8	233.9
709	განათლება	3,641.6	4,160.8	5,634.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	3,641.6	4,160.8	4,465.7
7092	ზოგადი განათლება	0.0	0.0	1,168.8
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	0.0	1,168.8
710	სოციალური დაცვა	900.2	1,129.5	1,269.3
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	477.3	696.4	750.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	477.3	1,392.7	750.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	38.5	61.9	62.0
7104	ოჯახებისა და ზავშეშების სოციალური დაცვა	244.0	218.0	287.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	140.5	153.2	169.8
	სულ	22,882.6	24,467.6	37,753.7

მუხლი 10. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-8 770,1) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (- 9 088,4) ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 9 088,4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება



განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (- 318,3) ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 318,3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 120.0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 368,0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 177.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 191.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი პროგრამის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები

მუხლი 16. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, დასუფთავების ღონისძიებები, სკვერების, მოედნების, საკანალიზაციო და წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია; მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზების, ტროტუარების, ბორდიურების, საყრდენი კედლების, ხიდების და ბოგირების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

2019 წელს დასრულდება ქ. მცხეთაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მცხეთა-შიომღვიმის გზის 4



კმ-დან წმინდა დიმიტრი თესალონიკელის მონასტერთან და წმინდა გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, შიდა გზების რეაბილიტაცია სოფელ ნატახტარში და მისაქციელში, სოფელ ახალუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს დაგეგმილია ქალაქ მცხეთაში, დართიკარის და ნარეკვავის დასახლებაში, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, აღმაშენებლის ჩიხის და კალოუბნის II ჩიხის გზის რეაბილიტაცია, ქ. მცხეთა-შიომღვიმის გზის მე-4 კმ-დან ღვთისმშობლის ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, შიდა საუბნო გზების მოასფალტება სოფლებში: ძალისი, ვაზიანი, წიწამურა, გოროვანი, ძეგვი, სოფ. პატარა ქანდაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სოფ. ძეგვში ბეტონის გზის მოწყობა, სოფ. ფრეზეთში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, სოფ. წინამძღვრიანთკარის დევენილთა დასახლებაში გზის რეაბილიტაცია, გზების რეაბილიტაცია სოფლებში: არაშენდა, მუხრანი, საგურამო, მისაქციელი, წილკანი, ჩარდახი, ნავაზი, გალავანი, ვარდისუბანი, ფრეზეთი, ნაფეტვრები, გზებზე ვიდეოკამერების განთავსების ადგილზე საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟება.

1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია, მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია.

1.2.1. გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია რეაბილიტირებულ გზებზე. მუნიციპალიტეტის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დეკორატიული მინათების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელ.ენერჯის ხარჯის დაფინანსება.

მიმდინარე წელს დაგეგმილია გარე განათების ქსელის მოწყობა ქალაქ მცხეთაში და სოფელ ძალისში.

1.2.2. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციისა და ჩამდინარე წყლების გადასამუშავებელი კოლექტორების, მილგაყვანილობის და წყალსაქაჩების დამონტაჟება-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი, გალავანი.

1.2.3. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაქსელვა და არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება, დეზინფექცია და რეაბილიტაცია; სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა; სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა; მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულება და გამრიცხველიანება, მოხმარებული და გახარჯული სასმელი წყლის გადასახადის ამოღება სემეკი-ს მიერ დამტკიცებული ტარიფის მიხედვით.

მიმდინარე წელს გაგრძელდება სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია სოფლებში: შანკევანი,



მუხრანის (გარდამავალი პროექტი), ქსოვრისი, ნავდარაანთკარი, ბიწმენდი, ნიჩბისი, ძეგვი, გალავანი; სოფელ ცხვარიჭამიაში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა, სოფელ ლელუბანში სასმელი წყლის ნაგებობის რეაბილიტაცია, სოფ. ჩარდახში ჭაბურღილისა და მაგისტრალის მოწყობა.

დაგეგმილია სოფელ ნავდარაანთკარში ახალი დასახლებისთვის სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა და დაქსელვა, სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის რეზერვუარის იზოლაცია, სოფ. ცხვარიჭამიაში მცირე ზომის წყლის რეზერვუარის და სანასოსეს მოწყობა, სოფ. წინამძღვრიაანთკარში, ნავაზში, გალავანში და მამკოდაში ჭაბურღილების მოწყობა, სოფ. ჩარდახში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, სოფ.ერედაში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა არსებული რეზერვუარის მიმდებარედ, სოფ.ბიწმენდში ჭაბურღილის მოწყობა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

1.2.4. მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 06)

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტი, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება მუნიციპალიტეტის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით.

მიმდინარე წელს დასრულდება ქალაქ მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქალაქ მცხეთაში ნიჩბოსნობის ბაზის რეაბილიტაცია, სოფ. წილკნის და ქსოვრისის ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ მუხრანში კულტურის სახლის რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი ცენტრის ეზოს კეთილმოწყობა, მუნიციპალური შენობების კომუნიკაციების ქსელზე დაერთება, სოფელ წილკნის ი.გ.პ. დასახლებაში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა.

დაგეგმილია ქ. მცხეთის კულტურის სახლის სახურავის რემონტი, სოფელ ნატახტარში და სოფელ ერედაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფელ გალავანში ამბულატორიის შენობის მშენებლობა, სოფელ წილკანში და სოფელ ნიჩბისში ამბულატორიის შენობების რეაბილიტაცია, სოფ. მუხრანის საკოლმეურნეო ბაზრის რეაბილიტაცია, სოფ. ქსოვრისში მოსაცდელის მოწყობა, ქ. მცხეთაში რკინიგზის სადგურთან არსებული უსახური შენობის დემონტაჟი, ქ. მცხეთაში ღვინჯილიას ქუჩაზე მდებარე კორპუსში კომისარიატის და ჯანდაცვის ბინების რეაბილიტაცია, ქ. მცხეთაში, აგურის ქარხანის დასახლებაში კედლის გამაგრება და კიბეების რეაბილიტაცია.

1.2.5. სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, კოლექტორების და მილგაყვანილობის რეაბილიტაცია ჩამდინარე წყლის (წვიმის ან სხვა სახის ჩამდინარე წყლის) წარმოშობის ადგილიდან ზედაპირული წყლების ადგილამდე გასატანად.

მიმდინარე წელს დასრულდება სანიაღვრე სისტემის მოწყობა სოფელ ძალისში.

დაგეგმილია სოფ. ერედაში არსებული დამბის რეაბილიტაცია და მისასვლელ გზაზე სანიაღვრეს მოწყობა, სოფ. საგურამოში სანიაღვრეს მოწყობა.

1.3. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

მიმდინარე წელს განხორციელდება სოფ. წოდორეთში მდინარეზე (ე.წ.მყარადხევი) საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მოწყობა, სოფ. მუხათწყაროში, ძველი ტბის უბანში და სოფ.მსხალდიდში საავტომობილო გზის მოწყობა, სოფ. წინამძღვრიაანთკარში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ კორპუსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სოფ. წეროვნის იგპ დასახლებაში, ე.წ. ხეობელების დასახლებაში, სანიაღვრე სისტემის მოწყობა.



1.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით.

1.5. კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები, ძეგლების და მემორიალების რეაბილიტაცია, გამწვანების, დასუფთავების, გარე განათების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, საექსპერტო და სამშენებლო ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

1.5.1. მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ღირებულება (პროგრამული კოდი 03 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის, გამანაწილებელი ქსელისა და ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების და გამრიცხველიანების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების, საბავშვო ბაღების, მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვა პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, საექსპერტო და სამშენებლო ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

1.5.2. კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის, დასუფთავების, გარე განათების, ქალაქში სარეკრეაციო ნაწილის გამწვანების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა.

1.5.3. სკვერების, სტადიონების, ძეგლების და მემორიალების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 05 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების, სტადიონების, ძეგლების და მემორიალების მოწყობა-რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს დასრულდება ქალაქ მცხეთაში არსენას სკვერის რეაბილიტაცია და შემოსასვლელების კეთილმოწყობა.

დაგეგმილია სოფ. წილკანში, იგპ დასახლებაში, სკვერის გაშენება და კეთილმოწყობა, სოფ. წეროვანში სკვერის კეთილმოწყობა, სოფ. საგურამოში, იგპ დასახლებაში, სტადიონის და სკვერის რეაბილიტაცია, მინისტადიონების მოწყობა სოფ. ციხისძირში, სოფ. ნავდარაანთკარში და წეროვნის კვლევითი ინსტიტუტის დასახლებაში; სოფ. მუხრანში მინისტადიონზე ბალახის ამოცვლა, სოფ. ქსოვრისში სკვერის მოწყობა, ქ. მცხეთაში, არმაზის დასახლებაში არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია და გადასასვლელი ხიდის მოწყობა, ღართიკარის დასახლებაში მინისტადიონის მოედნის მოწყობა, სადგურის დასახლებაში სკვერის რეაბილიტაცია, დავით აღმაშენებლის ქ. №47-ში სკვერის რეაბილიტაცია, "აზნეთის დასახლებაში" ფანჩატურის მოწყობა, №1 საჯარო სკოლის მიმდებარედ მდებარე მინისტადიონის რეაბილიტაცია, არსენას სკვერში წყაროს რეაბილიტაცია, სოფ. გალავანში სკვერის მოწყობა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწესებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

2.1. სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 2130-მდე აღსაზრდელი.

2.2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება.

მიმდინარე წელს გაგრძელდება საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ფრეხეთის იგპ დასახლებაში.

2.3. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.

მიმდინარე წელს განხორციელდება ქალაქ მცხეთის №1 საჯარო სკოლის, სოფ. ლისის, სოფ. ნავაზის, სოფ. ვაზიანის, სოფ. გალავნის, სოფ. ჩარდახის და სოფ. ახალდაბის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მძლავრი სექტორის ჩამოყალიბება, მუნიციპალურ დონეზე კულტურის ეკონომიკის განვითარება, განვითარების ხელშეწყობა და ინდუსტრიალიზაცია. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების



ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისთვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

3.1.1. ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

